ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523272001
თარიღი:29/09/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 29.09.2023 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადეიშვილი, თამარ შენგელია, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით ხარძეიშვილი, გრიგოლ მატარაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ილია დვალიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ტარიელ ბარამიძის - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს.: ვლადიმერ ჭვალაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხესენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ტარიელ ბარამიძის - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ , სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია გაეცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტარიელ ბარამიძის განცხადებას, რომლის თანახმადაც იგი ითხოვს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხის შესაბამისობა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი'' და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებული ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" მოთხოვნებთან და დაასკვნა: ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ტარიელ ბარამიძეს , რომელიც არჩეული იყო ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს „ პარტიული სიით 2023 წლის 21 სექტებმრიდან .

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 16

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ტარიელ ბარამიძის - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

განკარგულება N გ -65.6523272001

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ

საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი